წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N3

ქ.წალენჯიხა 25 თებერვალი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 30 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 21 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია,სოლომონ სარია, დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია, დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ანზორი ძაძამია, ზურაბი სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა,დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია,ლევან შელია, დათა კუკავა, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა.
საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა ვალერიანე კვარაცხელია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირები, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 13:10 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
დღის წესრიგთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ სევერიანე შეროზიამ ითხოვა დღის წესრიგში ცვლილების შეტანა, აღნიშნა რომ სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე აუცილებელი გახდა საკითხის „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამით გათვალისწინებული დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ სხვა შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე (მომხრე 21 დეპუტატი; წინააღმდეგი- არცერთი) მიღებულიქნა

შესაბამისი განკარგულება (განკარგულება N 5).

დღის წესრიგი:

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 თებერვლის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე;

2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: **გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის და თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი:**გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

5.წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აოქციონის ფორმით იჯარით გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი:**გელა სალია,** მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

6. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამით გათვალისწინებული დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი:**სევერიანე შეროზია,** მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

7.„მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის N 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი:**თენგიზ ფიფია** -საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

8. სხვადასხვა

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019 წლის იანვრის თვის ფინანსური ანგარიში.

მომხსენებელი:**თეა სარია,** მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

მოისმინეს 2 წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 7).

მოისმინეს: 3. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (სარგებლობაში) არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტებისა და პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.
სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.
ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 6).

მოისმინეს 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის და თხოვების ფორმით სარგებლობაში გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ აღნიშნა რომ, საკითხი განხილულ იქნა ბიუროს სხდომაზე და ბიუროს წევრებმა ერთხმად გადწყვიტეს საკითხის გადადება სანამ არ გასწორდება ხარვეზი და ჯვარის სათემო განათლების ცენტრს არ მიენიჭება სწორი საკადასტრო კოდი .
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

მოისმინეს . 5 .წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში აოქციონის ფორმით იჯარით გაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გელა სალიამ.
საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დალი კვარაცხელიამ აღნიშნა , რომ ჭალეს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე, ყოფილი მაღაზიის შენობა (საკ.კოდი 47.12.34.008) ამოღებულ იქნეს საკითხის დეტალურად შესაწავლამდე.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს სხვა განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 7).

მოისმინეს: 6. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამით გათვალისწინებული დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ 2018 წლის 28 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერის მოადგილემ სევერიანე შეროზიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 8).

მოისმინეს: 7.„მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 ივლისის N 17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ თენგიზ ფიფიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 21 დეპუტატი, წინააღმდეგი - არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N 9).

მოისმინეს: 8. სხვადასხვა

ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019 წლის იანვრის თვის ფინანსური ანგარიში.

საკითხი წარმოადგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თეა სარიამ.

საკრებულოს მიერ 2019 წლის ბიუჯეტის იანვრის თვის შესრულება მიღებულიქნა ცნობად.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**